

## სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 8

ქ.თბილისი

3 აპრილი 2014 წელი

საქართველოს რაგბის კავშირის სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარემ მ.თავზარაშვილმა, კომისიის წევრები: ე. ნაჭყეზიას, ი.ჩიქავას და ვ. სამხარაძის მონაწილეობით მ/წლის 3 აპრილს შევადგინეთ ოქმი შემდეგზე:

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით განიხილა სრკ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა და მატჩის მეთვალყურის გ. სუთიაშვილის ოქმი.

### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

ამა წლის 28 მარტს გაიმართა საქართველოს ჩემპიონატის ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მატჩი თბ „აკადემია“-სა და პატარძელის „ვეფხვები“-ს შორის. მატჩის მეორე ნახევარში მოხდა გუნდური ჩხუბი. მატჩის მეთვალყურის გ. სუთიაშვილის და მთავარი მსაჯის ა. პოლოსიანის მიერ მოწოდებული ინფორმაციით გამოიკვეთა შემდეგი დისციპლინარული დარღვევები:

თბ „აკადემია“

1. ზურაბ თათარაშვილი (№10) - კონფლიქტის პროვოცირება.
2. თორნიკე ხომიზურაშვილი (№8) - მეტოქისთვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.
3. შოთა შავშიშვილი (№14) - მეტოქისთვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.

პატარძელის „ვეფხვები“

1. ზაზა ურჯუკაშვილი (№14) - კონფლიქტის პროვოცირება.
2. გივი მარტიაშვილი (№7) - მეტოქისთვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.5 და სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი №1 - ის 2.5 პუნქტებით

### დ ა ა დ გ ი ნ ა

1. კლუბ თბ „აკადემია“-ს მორაგბე ზ. თათარაშვილი (№10) დისკვალიფიცირებული იქნას 2 (ორი) სათამაშო კვირით.
2. კლუბ თბ „აკადემია“-ს მორაგბე თ. ხომიზურაშვილი (№8) დისკვალიფიცირებული იქნას 4 (ოთხი) სათამაშო კვირით.

3. კლუბ თბ “აკადემია“-ს მორაგბე შ. შავშიშვილი (№14) დისკვალიფიცირებული იქნას 4 (ოთხი) სათამაშო კვირით.
4. კლუბ თბ “აკადემია“-ს დააკლდეს 1(ერთი) საცხრილო ქულა.
5. კლუბ პატარძელის “ვეფხვები“-ს მორაგბე ზ. ურჯუკაშვილი (№14) დისკვალიფიცირებული იქნას 2 (ორი) სათამაშო კვირით.
6. კლუბ პატარძელის “ვეფხვები“-ს მორაგბე გ. მარტიაშვილი (№7) დისკვალიფიცირებული იქნას 4 (ოთხი) სათამაშო კვირით.
7. კლუბ პატარძელის “ვეფხვები“-ს დააკლდეს 1(ერთი) საცხრილო ქულა.

/ე. ნაჭყებია /

/ ი.ჩიქავა /

/ვ. სამხარაძე/

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე

/მ.თავზარაშვილი/